

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №5 მაისი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

წმიდა დიდმოწამე გიორგი (IV ს.) ხსენება 10(23) ნოემბერი, 23 აპრილი (6 მაისი)

წმიდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში, მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან თავის სამშობლოში წავიდა, იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა. ცნობილია, რომ ის წმიდა ნინოს ნათესავი იყო. დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, თვითონაც მორწმუნე, მდიდარი, ჭკვიანი, ლამაზი და დიდი ვაჟკაცი იყო: მან ისე გამოიჩინა თავი, რომ რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ თავის მხედართმთავრად დანიშნა. თვითონ დიოკლიტიანეს სძულდა ქრისტიანები. მეფობის ბოლოს მან ქრისტიანებს დევნა დაუწყო, იჭერდა და ხოცავდა მათ.

ეს რომ წმიდა გიორგიმ გაიგო, მივიდა იმპერატორთან და გამოუცხადა, რომ თვითონაც ქრისტიანი იყო. დიოკლიტიანემ სცადა მისი გადაბირება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. სასტიკად განრისხებულმა, წამება დაუწყო წმიდა გიორგის, მაგრამ ამ წამების დროს იმდენი სასწაული ხდებოდა, რომ მისმა მნახველმა უამრავმა ადამიანმა ირწმუნა ქრისტე.

303 წლის (23 აპრილს) 6 მაისს, პარასკევ დღეს ის მახვილით მოკლეს.

წმიდა გიორგი განსაკუთრებულად უყვართ საქართველოში, სადაც მას მრავალი სასწაული მოუხდენია.

22 მაისი — ნიკოლოზობა (ნაწილთა აღმოჩენა)

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკოს მხარის ქალაქ პათასაში ქრისტეშობიდან 257 წელს დაიბადა. მაშინ ეს მხარე რომის იმპერიის კუთვნილება იყო, მძიმე დევნას განიცდიდა ქრისტესმებრძოლი, ახლადდაარსებული ეკლესია.

სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა. ნათლობისას ჩვილი ნიკოლოზი დამოუკიდებლად იდგა ებმაზში რამდენიმე საათის განმავლობაში. დედის რძეს კი ოთხშაბათსა და პარასკეობით მხოლოდ საღამოს მიირთმევდა. სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უთმობდა გულმოდგინე ლოცვებს.

მისი ხელდასხმისას ეპისკოპოსმა ასე მიმართა ხალხს:

მე ვხედავ ახალ ამომავალ მზეს დედამიწაზე, ტკბილ მანუგეშებელს მწუხარეთა და ტანჯულთათვის. ბედნიერია ის სამწყსო, რომელსაც იგი დამწყემსავს. იგი განამტკიცებს მათ რწმენაში, ასწავლოს სათნო და ღვთისმოშიშ ცხოვრებას, იქნება ყველა გაჭირვებულის შემწე.

სულიერების ზეიმი სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში

უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სტუმრობას საქართველოს ყველა კუთხე ზეიმით ეგებება. ჩვენთვის კი, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მოსახლეობისთვის მისი ჩამობრძანება განსაკუთრებით სასიხარულოა. ხევი დიდი სიხარულით ელოდებოდა 14 მაისს უწმინდესის ჩამობრძანებას, მაგრამ ეს სიხარული გაათმაგდა, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ხევში ჩამობრძანებული იქნა ჰავაის ღვთისმშობლის მირონმდინარი ხატი.

სულიერებისაკენ სწრაფვა და ღმერთთან მიახლოების სურვილი დღეს უკვე ძლიერია მოხევეებში. ხევის მოსახლეობა უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სასწაულთმოქმედი ხატის მოსალოცად და მისგან მადლის მისაღებად.



გიმნაზიის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დიდი კრძალვით მოილოცეს სასწაულთმოქმედი ხატი.

მოგვიანებით ხატი ჩააბრძანეს დარიალის მთავარანგელოზთა სახელობის სამონასტრო კომპლექსში და შემდეგ გერგეტის წმინდა სამების ეკლესიაში.

12 მაისი — ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა, ანდრია პირველწოდებულისა

12 მაისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ანდრიას უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული, მაცხოვრის პირველი მოციქული.

უფლის მოციქული პირველად ქართლის ტერიტორიაზე, დიდაჭარაში შემოვიდა, მას თან ჰქონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ხელთუქმნელი ღვთისმშობლის ხატი.

წმიდა მოციქული ანდრია საბერძნეთის ქალაქ პეტრაში ჯვარზე დაკიდებული აღესრულა. მის ხსენებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ აღნიშნავს; 12 მაისსა და 13 დეკემბერს.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

29 მაისი — ამაღლება

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამაღლდი დიდებით ქრისტე ღმერთო ჩვენო და მხიარულ ჰყენ მოწაფენი აღთქმითა მით სულისა წმიდისათა...

20 მაისი — ხსენება ღირსი იოანე ზედაზნელისა და ათ თორმეტთა მოწაფეთა მისთა (VI ს.)

იოანე ზედაზნელი — ღირსი მამა ჩვენი იოანე ზედაზნის წინამძღვარი, სარკინოსთაგან წამებული. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი.

14 მაისი — მეექვსეტასეულე დედათა კვირა (აღდ. III კვირა)

ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე მეფისა თამარისა

მმართველობის დასაწყისი 1184 წ. მმართველობის დასასრული 1213 წ.

თამარ მეფის წოდებები: მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. დიდება ამა სამყაროსა და სარწმუნოებასა, მესიის მოვლენილი.

ანბანის გაცილება

გიმნაზიის პირველმა კლასმა საზეიმო ვითარებაში გააცილა ანბანი.

სურათზე პირველი კლასის მოსწავლეები ანბანის გაცილების ზეიმზე.

17 მაისი

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ოჯახის სიწმინდის დაცვის დღედ გამოაცხადა.

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 26 მაისს, კვირას დღის 5^{10} საათზე თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა — „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდია.

გადადებული საქმე

იყო ერთი კაცი. ის სულ დაკავებული იყო თავისი საქმით, მას ჰყავდა ერთი ძმა, რომელიც სულ სთხოვდა ერთი საქმე მოეგვარებინა, მაგრამ ძმა ვერ იცლიდა და ატყუებდა, აი მოგიგვარებ, ცოტა ხანი მოიცადეო. ძმაც იცდიდა. ერთხელაც ძმამ მოიცალა და მეორე ძმას უთხრა: შენი საქმე მოვაგვაროთო, მაგრამ ძმამ უთხრა, გადადებული საქმე გადაგდებულიაო.

არსენ ჩქარეული
VI კლასი

ივნისის თვის საეკლესიო კალენდარი

1 — აღდგომიდან VII კვირა. I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა (325). ნინოობა (წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში).

2 — ხს. ღირსთა ზაბულონისა და სოსანასი — წმ. ნინოს მშობელთა.

5 — ღირსი დავით გარეჯელისა.

6 — ღირსი სვიმეონ მესვეტისა (596).

7 — წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახ. 650).

8 — სულიმოფენობა.

9 — სამებობა.

15 — ყოველთა წმიდათა კვირა (I კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან).

21 — ხს. მოწ. თეოდორ მდვდლისა. დიდმოწამე თეოდორ სტატილატისა.

22 — ღირ. იოანე შავთელ-გაენათელისა (VIII ს.).

27 — წინასწარმეტყველი ელისესი.

30 — მოწამისა შალვა ახალციხელისა (1227).

ბოლო ზარი გიმნაზიაში

კიდევ ერთი ბოლო ზარი აწკრიალდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში.

კლასის დამრიგებელმა ნაზი ჩოფიკაშვილმა გიმნაზიის მე-7 გამოშების მე-12 კლასის მოსწავლეებს მიულოცა სკოლის დამთავრება, უსურვა პატიოსანი გზით სიარული, გაჭირვების ვაჟკაცურად დაძლევა, სამშობლოსა და მეგობრისთვის თადადება.

წლების განმავლობაში გიმნაზიის მესვეურები თავდადებით ცდილობდნენ თქვენთვის ჩაენერგათ სამშობლოს სიყვარული, ტრადიციებისა და უფროსების პატივისცემა — აღნიშნა ნაზი მასწავლებელმა. ვიცით, გაამართლებთ ჩვენს ნდობას და იქნებით საამაყო შვილები.

დარბაზი სავსე იყო მოწვეული სტუმრებითა და მაყურებლით. იყო სიმღერები, ლექსები და სახუმარო სკეტჩები.

სკოლის დამთავრება კურსდამთავრებულებს მიულოცა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ნინო ღუდუშაურმა, უსურვა ბედნიერება და სიხარული.

გიმნაზიის პანსიონის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ულოცავს გიმნაზიის მე-7 გამოშვებას სკოლის დამთავრებას და უსურვებს წარმატებებს. „უფალი გფარავდეთ“.

გაზეთის საშუალებით გიმნაზიის კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრებას ულოცავს გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლე ნანუკა ფიცხელაური

ხვალინდელი დღის იმედო

გიმნაზიის მე-7 გამოშვების კურსდამთავრებულებისათვის ირეკება ბოლო ზარი. ბოლო ზარი — ბავშვობის დასასრული. ბოლო ზარი — სწრაფვა მომავლისაკენ.

ჩვენ თქვენთან ერთად ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, რადგანაც მხოლოდ ერთი წელია სხვაობა ჩვენს შორის, ერთი წლის სხვაობა კი თითქოს ბევრი არაფერია, მაგრამ ჩვენ თქვენდამი მაინც ყოველთვის მოკრძალებას განვიცდიდით. დღეს კი თქვენ გადიხართ ჩვენი საერთო ოჯახიდან, ეს ბუნების კანონია. როგორც ოჯახიდან წასული, დაფრთიანებული შვილის ბედზე დარდობს მუდამ მშობელი დედა, ისე თქვენი მასწავლებლები, ჩვენი მეუფე, მუდამ თვალმოჰერობილები იქნებიან თქვენი გზისაკენ, — „ვინძლო არ დაგავიწყდებათ ვისი გორისანი ხართ“. არ შეარცხვინოთ თქვენი აღმზრდელები.



თერგის ზვირთები გლოცავდეთ და მყინვარის კალთა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მე-11 კლასის სახელით გილოცავთ სკოლის დამთავრებას. წინ გევლოსთ...

„სულ მხარში აიშლებოდე,
აზრით არწივზე მფრინავი
ვარდობა, ახალგაზრდობა
აფრა, ცეცხლი და ნიავი.

თქვენი საქმე და ოცნება,
ხვალე ჩვენ დაგვეკისრება,
დე, იყოს შენი მარჯვენა
სამშობლოსათვის მისწრება.

იყავი მორცხვი იასებრ
და მკვირცხლი როგორც მიმინო
შენ გაგიმარჯოს სამშობლოს
ხვალინდელი დღის იმედო“.

ნანუკა ფიცხელაური.

სენტიმენტალური მონატრება

კავკასიონის გადაღმა მხარეს,
გრილი ზაფხული შეჰყურებს მთვარეს,
მე კვლავ დამათრობს შენზე ფიქრები
და მონატრებით მთვრალი ვიქნები.

ღილის რიჟრაჟზე ჩუმად ჰქრის ქარი,
მე კი ღია მაქვს კვლავ გულის კარი,
მზის სხივს მივაპყრობ მზერას დაღალულს
და გავიხსენებ გრძნობებს დაფარულს.

წარმომიდგება მე თვალწინ მთები,
კვლავ ჩამესმება ნაცნობი ხმები.
ისევ შევხვდები ჩემს ძველ მეგობრებს
და გავიხსენებთ ბავშვურ ცელქობებს.

ჩვენ გადავირბენთ ბეწვის ხიდს თერგზე,
დავედევნებით ცხენებს ჭალებში,
ისევ გავივლით ამ ნაცნობ გზებზე
სიყვარულს ვნახავ ხალხის თვალებში.

მერე დადგება ზამთარი ცივი
და მონატრებას გავატან ფოთლებს,
მაგრამ ეს გული კვლავ შენთვის თბილი
შორიდან უხმობს იდუმალ ნოტებს.

თვალწინ მიდგება კვლავ მე ეს მთები
ისევ გულღიად ვამბობ ამ სიტყვას
ყველა ოცნებამ შეისხა ფრთები,
ჩემი მხარეა და მე ის მიყვარს.

გიმნაზიის კურსდამთავრებული
რომან ქუშამვილი

უწმინდესის ნათლული

გაბრიელ ჯამარჯაშვილი

ბეთლემი

სამლოცველო სენაკი — გამოქვაბული მყინვარის კიდურზე. ვახუშტი ბატონიშვილი, თავის საქართველოს გეოგრაფიაში, ასე აგვიწერს ბეთლემს: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა. გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებული ქვაბიდან, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ“.

დიახ, მეისტორიენი სდუმან, მაგრამ არ სდუმს ქართული ლექსი. ბავშვობიდანვე გონების თვალით ვხედავდით კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს, მყინვარებში დავეძებდით ოჟა ჯურხაის ნაფეხურებს და მაინც, ბეთლემის გამოქვაბულში პირველად ილია ჭავჭავაძემ შეგვიყვანა. პირველად ილიამ დაგვანახა ვახუშტისეული ჯაჭვის კიბე, საოცარი სიზუსტით აგვიწერა ბეთლემის სენაკი და ამ სენაკში განდეგილის მაცდურად მოვლენილი მშვენიერება — მწყემსის ქალი.

მრავალი საუკუნის მანძილზე ბეთლემის არსებობა ლეგენდად იყო ქცეული და ილია ჭავჭავაძემაც თავის პოემას ლეგენდა უწოდა. გავიდა ხანი და 1948 წლის ერთ მზიან დღეს მყინვარწვერის მეტეოსადგურიდან მომავალმა მოხევემ ჩამოქცეული კლდის თხემზე რკინის ჯაჭვი შეამჩნია. მალე ეს ამბავი თბილისსაც ეცნობა. მოეწყო ლაშქრობა ბეთლემზე და ლეგენდის საიდუმლოს კარიც გაიღო. სენაკში ნახეს ცეცხლის კვალი — ნახშირი და ნაცარი, ბრინჯაოს შანდლის ძირი, ხატი და ვერცხლის ფულები. ყოველივე ეს ამჟამად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ალ. გომიაშვილი

ნინოს გაზაფხული

მელია და ჩიორა

მოღალატე მელია
ჩიორას დაუმეგობრდა,
განა მელისთვის პატარა
ფრინველის შეჭმა ძნელია?!

მაგრამ მელია ჩიორამ
დააგდო პირშიშველია.
როდესაც წუწკმა მელიამ
ჩიორას სტაცა ხელია,

ჩიტმა მელიას ხახაში
ჩასჩარა მუგუზალია
პირდაღებულსა მელიას
მთლად ამოეწვა ყელია.

მინაწერი: „მეტისმეტი ბრეტისბრეტი
ასე უთქვამთ ძველებს,
ვინც ზომაზე არა ყლაპავს
სიმწრით დაახველებს“

ნინო ქუშაშვილი
II კლასი

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, თამარ ოდიშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი